მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 6

2019 წ. " 19 " 09

ქ. თბილისი

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2.1. 2019 წლის 28 ივნისს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის №624 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 07 აგვისტოს №694 ბრძანებით ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 14 და 15 აგვისტოს ქ. ქუთაისში და 16 აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში განახორციელა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2019 წლის 11 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი		√	
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	√		

2.3. საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 19 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე

დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭოს წევრები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს და ზეპირ მოსმენაზე მხარეების მიერ წარმოდგენილ პოზიციებს. აღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე საბჭო არ იზიარებდა პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პირველ და მეორე რეკომენდაციას პროგრამის შინაარსის სტანდარტის 1.4 და 1.8 კომპონენტებთან მიმართებით. საბჭოს წევრები იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას მე-2 სტანდარტის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსების 2.4 კომპონენტთან მიმართებით.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2019 წლის 28 ივნისს №874278 (ცენტრში რეგისტრაციის №875146; №875167; №875174; №875173) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №01 სხდომის ოქმის №6 ნაწილი (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაცია:

ა) მნიშვნელოვანია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტზე თანდართული მსმენელთა გამოკითხვის ფორმა ითვალისწინებდეს კითხვას/კითხვებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების შესახებ.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2019 წლის 26 სექტემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი

დანართი №1

№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	——
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათების რაოდენობა	24
6	განხორციელების ადგილი	1. ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №13, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ლამბალო, ქუჩა 1, №11. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საგარეჯოს რეგიონული სასწავლო ცენტრი; 3. ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 4. ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პირველი სართული, აუდიტორია №113; 5. ქ. ახალციხე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსთაველის ქუჩა №113 (უნივერსიტეტის პირველი კორპუსი), აუდიტორია №123;

		რუსთაველის ქუჩა №122ა (უნივერსიტეტის მეორე კორპუსი), აუდიტორია №110; 6. ქ. ახალქალაქი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №119, (უნივერსიტეტის მესამე კორპუსი), კომპიუტერული კლასი; ქ. ახალქალაქი, 7. ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. №53, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პირველი კორპუსი, აუდიტორია №208; 8. ქ. თელავი, ახალი უნივერსიტეტის ქ. № 1, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი სასწავლო კორპუსი, მეხუთე სართული, აუდიტორია №110; 33 9. ქ. თბილისი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5; 10. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა, სსიპ - კოლეჯი ,,აისი", ლაგოდეხის განყოფილების სასწავლო კორპუსი, აუდიტორია №201
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26.09.2019
8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	____
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	26.09.2024